დანართი

ინფორმაცია
ქართული დიასპორის წინაშე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში არსებული პრობლემების შესახებ

1. პენსიისა და სოციალური დაცვის შესახებ

მილიონამდე ქართველი, რომელიც ქვეყნის საზღვრებს გარეთ ეწევა შრომით საქმიანობას, იხდის გადასახადს ადგილსამყოფელი ქვეყნის ბიუჯეტში, რიცხავს თანხას საპენსიო ფონდში ან მონაწილეობს საპენსიო დაგროვების პროგრამაში. სამშობლოში დაბრუნებისას მათ უწყდებათ პენსია და, ხშირ შემთხვევაში, ვერ იღებენ ერთჯერად ფულად კომპენსაციას.
დიასპორის წარმომადგენელთა განმარტებით, აუცილებელია ხელშეკრულების გაფორმება ინდივიდუალურ ქვეყნებთან დაგროვილი პენსიის ტრანსფერის უზრუნველსაყოფად.

2. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების სტაჟის აღიარების შესახებ

უცხოეთში, ქართულ დიასპორულ ორგანიზაციებთან არსებული საკვირაო სკოლების ქართული ენის შემსწავლელი კურსების პედაგოგები, სახელმწიფო მინისტრთან და აპარატის წარმომადგენლებთან შეხვედრისას, სისტემატურად აყენებენ საკითხს საქართველოს სახელმწიფოს მიერ მათი სტაჟის აღიარების შესახებ. ისინი მიიჩნევენ, რომ წლების განმავლობაში ემსახურებიან ქართული ენისა და კულტურის პოპულარიზაციას უცხოეთში, რაც სახელმწიფოს მიერ სათანადოდ უნდა იქნას დაფასებული; უპირველეს ყოვლისა - მათი სამუშაო სტაჟის აღიარების გზით.

3. ქართველი ექიმების მივლინების შესახებ საბერძნეთსა და იტალიაში საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სამედიცინო კონსულტაციის გაწევის მიზნით

პოზიტიური გამოხმაურება მოჰყვა ქართველ ექიმთა ვიზიტს საბერძნეთის რესპუბლიკის ქ. ათენში, სადაც 400-მდე საქართველოს მოქალაქეს გაეწია უფასო სამედიცინო კონსულტაცია. აღნიშნული პროექტი ჩვენი თანამემამულეებისათვის მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ ამგვარი მომსახურების საშუალებით უფასო სამედიცინო კონსულტაცია მიიღეს ადგილსამყოფელ ქვეყნებში არალეგალურად მყოფმა შრომითმა მიგრანტებმაც, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, დეპორტაციის შიშით, არ მიმართავენ სამედიცინო დაწესებულებებს.
უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის ფარგლებში გაწეულმა სამედიცინო კონსულტაციებმა, რიგ შემთხვევებში, ხელი შეუწყო დაავადებათა გამოვლინებას ადრეულ სტადიაზე, რამაც ჩვენს თანამემამულეებს მისცა შესაძლებლობა, ჩაეტარებინათ სათანადო ოპერაციული თუ მედიკამენტური მკურნალობა.
ქართული დიასპორის წარმომადგენლები, განსაკუთრებით - საბერძნეთიდან და იტალიიდან, მოგვმართავენ პროექტის განხორციელების თხოვნით ემიგრანტებით კომპაქტურად დასახლებულ ქალაქებში.

4. საქართველოს სამედიცინო დაწესებულებების მიერ გაცემული ქვითრებისა და ფორმა 100-ის საერთაშორისო სტანტარდებზე მორგების შესახებ

უცხოეთიდან დროებით ჩამოსული ემიგრანტები, ხშირ შემთხვევაში, სარგებლობენ საერთაშორისო დაზღვევით, რის საფუძველზეც მათ უნაზღაურდებათ საქართველოში მიღებული სამედიცინო მომსახურების საფასური.
მომსახურების ანაზღაურებასთან დაკავშირებით მათ პრობლემა ექმნებათ ხელით შევსებული დოკუმენტების გამო, რომელთა ავთენტურობაც, მათი თარგმნისა და ნოტარიალურად დამოწმების შემთხვევაშიც კი, ეჭვს იწვევს.
დიასპორის წარმომადგენელთა განმარტებით, აღნიშნული პრობლემის მოგვარებას უზრუნველყოფდა საქართველოს სამედიცინო დაწესებულებების მიერ გაცემული ქვითრებისა და ფორმა 100-ის საერთაშორისო სტანტარდებზე მორგება.